საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-937

27/09/2019

ქ. თბილისი

შპს „საგზაო მშენებლობა ალტკომის ფილიალი საქართველოში“-ზე გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „ეი ჯი ინდასთრისზე“ გადაცემის შესახებ

2019 წლის 2 სექტემბერს სამინისტროს ერთობლივი განცხადებით მომართეს შპს „საგზაო მშენებლობა ალტკომის ფილიალი საქართველოში“-სა და შპს „ეი ჯი ინდასთრისის“ უფლებამოსილმა წარმომადგენლებმა. შპს „საგზაო მშენებლობა ალტკომის ფილიალი საქართველოში“-მ ითხოვა მასზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა შპს „ეი ჯი ინდასთრისზე“ და ამ უკანასკნელმა კი ამავე გადაწყვეტილების მიღება.

სამინისტროს მიერ შპს „ეკო ცემენტის“ ცემენტის წარმოებაზე გაცემულია №47 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (12.10.2016) და №2-823 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (27.08.2019).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მფლობელი უფლებამოსილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება სხვა პირს გადასცეს. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის საფუძველია გადაწყვეტილების მფლობელისა და მიმღების ერთობლივი განცხადება, ხელშეკრულება ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის ფაქტს. სამინისტრო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემის თაობაზე განცხადებას იხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულისა და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-15 მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „საგზაო მშენებლობა ალტკომის ფილიალი საქართველოში“-ს ასფალტის წარმოებაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება უვადოდ გადაეცეს შპს „ეი ჯი ინდასთრისს“;

2. შპს „ეი ჯი ინდასთრისმა“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 27 აგვისტოს №2-823 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა;
3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „ეი ჯი ინდასთრისსა“ და შპს „საგზაო მშენებლობა ალტკომის ფილიალი საქართველოში“-ს;
5. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეი ჯი ინდასთრისისა“ და შპს „საგზაო მშენებლობა ალტკომის ფილიალი საქართველოში“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
6. ბრძანების გაცემიდან 3 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი